ქართველი ხელოვნები

- მოგესალმებით მე ვარ ნინი ბერიძე.დღეს მე წარმოგიდგენთ პრეზენტაციას ქართველ ხელოვანებზე.
- გესაუბრებით ადამიანებზე რომლებმაც შექმნეს ეპოქა
- მხატვარი : ნიკო ფიროსმანი იგივე „ნიკალა“
- მომღერალი: ჰამლეტ გონაშვილი
- მოცეკვავე: ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი

1862 წელს დაბადებულმა ნიკო ფიროსმანმა, რომელსაც ხშირად ნიკალასაც უწოდებენ, მთელი თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში გაატარა. ის ძირითადად დუქნებსა და სამიკიტნოებს უხატავდა აბრებსა თუ სხვაფიროსმანის ნახატები, რომლებიც მხატვარმა თავის სიცოცხლეში ლუკმა-პურის საშოვნელად შექმნა, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაფასდა სათანადოდ. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ის ერთ-ერთ გამორჩეულ პრიმიტივისტ მხატვრად აღიარეს თავისი ნაივური სტილის გამო. 1972 წელს კი დიდი პატივისცემის ნიშნად მისი პორტრეტი პაბლო პიკასომ დახატა.დასხვა ნახატებს და ასე ირჩენდა თავს.





- ჰამლეტ გონაშვილი დაიბადა სოფელ ანაგაში. სწავლობდა ბიოლოგიას. მუშაობა თბილისის ტურისტულ ბიუროში დაიწყო და მისთვის1953-1969 წლებში იყო ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრი. 1969 წლიდან ანსამბლ „რუსთავში“ გადავიდა და 16 წელი ამ ანსამბლის სოლისტი იყო. ანსამბლის რეპერტუარი მასზე იყო აწყობილი. ერთნაირი წარმატებით ასრულებდა როგორც ქართლ-კახურ, ისე მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს, იმერულ-გურულ საგალობლებს (მთქმელის პარტიას), ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. სასიამოვნო საქმეს მიჰყო ხელი.

- ჰამლეტ გონაშვილი დაიღუპა ტრაგიკულად, მშობლიურ სოფელ ანაგაში, დედის სანახავად ჩასული. დაკრძალეს საბურთალოს სასაფლაოზე. 2001 წელს გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

- მის მიერ შესრულებული სიმღერები დღეს უფრო და უფრო პოპულარული ხდება საზღვარგარეთ. უცხოელები ჰამლეტ გონაშვილის „ურმულსა“ და „ოროველას“ კინოფილმებსა და მასობრივ სანახაობებში იყენებენ როგორც მისტიკური მოვლენის, ადამიანის ხმის შესაძლებლობის უნიკალურ გამოვლინებას.[3]

ნინო სუხიშვილი

- ორივე ცეკვისთვის დაიბადა, თუმცა ერთმანეთს ჯერ არ იცნობდნენ… მათი გზა ჯერ არ იყო გადაკვეთილი...

- ილიკო სუხიშვილი სოფელ მეჯვრისხევში დაიბადა, 1907 წელს. მამა ადრე გარდაეცვალა. დედას უჭირდა მარტოს ოჯახის გაძღოლა, სოფლად ხომ აუარებელი საქმეა მუდამ, ამიტომ საცხოვრებლად თბილისში გადმოინაცვლეს. ილიკო 9 წლის იყო, მუშაობა რომ დაიწყო. ცდილობდა, დედას დიდი კაცივით გვერდში დადგომოდა. ხან მოხარშულ წაბლს ყიდდა, ხან - გაზეთებს. ერთი ჩვევა დასჩემდა - სულ ფეხის წვერებზე დადიოდა.

- ნინო რამიშვილი ბაქოში დაიბადა, 1910 წელს. მისი ოჯახი რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში. ცეკვაზე უსაზღვროდ შეყვარებული გოგონა მშობლებმა იტალიელი მარია პერინის საბალეტო სტუდიაში შეიყვანეს. სწორედ იმ წელს, როცა 17 წლის ილიკომ მუშაობა დაიწყო, პერინის სტუდიის გოგონები ოპერისა და ბალეტის დიდ სცენაზე გამოვიდნენ. წარმოდგენას ილიკოც ესწრებოდა. ყველაზე მეტად ნინო მოეწონა... ეს იყო მათი პირველი შეხვედრა, უდავოდ ბედნიერი, რადგან მოგვიანებით ამ წყვილმა ჯერ ოჯახი, მერე შესანიშნავი ანსამბლი და ბოლოს ეპოქა შექმნა, რომელსაც დღემდე სუხიშვილებს ეძახიან.

- სიკვდილის წინ ილიკომ თავის ერთადერთ შვილს, თენგიზს დაუბარა: ყველაფერი გააკეთე, რომ ჩვენი აფიშა კედლიდან არ გაქრესო... დღეს ანსამბლს სუხიშვილების მესამე თაობა უდგას სათავეში.

ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი

გმადლობთ
ყურადღებისთვის!!!